



ბრძანება № 1-27

გორი

01 05 2026წ.

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 აგვისტოს N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-15 მუხლის პირველი და მე-7 პუნქტების, აკადემიური საბჭოს 2016 წლის 15 აპრილის N09-34 დადგენილების და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის (30.04.2026. N507624) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. დამტკიცდეს სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების დებულება დანართის შესაბამისად.
2. უნივერსიტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს აღნიშნული ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის.
3. უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილებას დაევალოს ამ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
4. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

რექტორი



ალექსანდრე მღებრიშვილი

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის  
ჩატარების დებულება

1. აღნიშნული დებულება განსაზღვრავს სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის (შემდგომში - კონფერენცია) ჩატარების წესს;
2. კონფერენციის ორგანიზებას ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტებთან ერთად;
3. კონფერენცია ტარდება შემდეგი სექციების მიხედვით:
  - ა) ისტორია;
  - ბ) ქართული ენა;
  - გ) ქართული ლიტერატურა;
  - დ) უცხოური ენა და ლიტერატურა;
  - ე) განათლება;
  - ვ) ინფორმაციული ტექნოლოგიები და მათემატიკა;
  - ზ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და სპორტი;
  - თ) ეკონომიკა და ბიზნესის ადმინისტრირება;
  - ი) ტურიზმი;
  - კ) სოციალური მეცნიერებანი;
  - ლ) სამართალი და საჯარო მმართველობა.
4. კონფერენციაში მონაწილეობის უფლება აქვთ უნივერსიტეტის უმაღლესი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტებსა და მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიან) საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირებს;
5. კონფერენციაში მონაწილეობის მსურველს შეუძლია წარმოადგინოს ინდივიდუალური ან თანაავტორობით შესრულებული (არაუმეტეს 2 თანაავტორისა) მხოლოდ ერთი ნაშრომი;
6. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიან) საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის აკადემიური/მასწავლებელთა პერსონალის წარმომადგენელი ან მოწვეული სპეციალისტი;
7. კონფერენციაზე სექციურ მუშაობას უხელმძღვანელებს სექციის ხელმძღვანელი, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი თავისი განკარგულებით;
8. კონფერენციაში მონაწილეობის მსურველებმა 2026 წლის 31 მაისის ჩათვლით ელექტრონული ფოსტის მისამართზე [goriuniversityconference@gmail.com](mailto:goriuniversityconference@gmail.com) უნდა წარმოადგინონ:
  - ა) პირადი მონაცემების (აპლიკაციის) შევსებული ფორმა დანართი 1-ის შესაბამისად;
  - ბ) სამეცნიერო ნაშრომის თეზისი.
9. საკონფერენციო სამეცნიერო ნაშრომის თეზისი წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული სახით შემდეგი მოთხოვნების დაცვით: თეზისი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ქართულ ან უცხოურ (ინგლისურ, გერმანულ ან რუსულ) ენაზე Microsoft Word-ის დოკუმენტის სახით; სავალდებულოა Sylfaen შრიფტის გამოყენება; შრიფტის ზომა 11 (გარდა სათაურისა, შრიფტის ზომა სათაურისთვის 12), ინტერვალი 1,5; გვერდის

პარამეტრები: დაშორება ზემოდან, ქვემოდან, მარჯვნიდან, მარცხნიდან 2 სმ.; თეზისის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს A4 ფორმატის 1 ნაბეჭდ გვერდს;

10. კონფერენციაში მონაწილე სტუდენტებს/პროფესორულ სტუდენტებს/მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიან) საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირებს გადაეცემათ სათანადო სიგელები;

11. კონფერენცია ჩატარდება 2026 წლის 23 ივნისს.

